



ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი

ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის კვლევის
სტრატეგია

შინაარსი

I.	შესავალი	3
II.	სატრატეგიის შემუშავების საფუძველი და მიზანი	3
III.	სტრატეგიის შემუშავების საფუძველი	5
IV.	სტრატეგია.....	5
V.	კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები.....	5
1.	სამეცნიერო საბჭო.....	5
2.	სკოლა (ფაკულტეტი).....	6
3.	კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური.....	6
4.	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	7
5.	უნივერსიტეტის დამხმარე ორგანოების სისტემის თანამონაწილეობა	7
6.	კვლევითი ინსტიტუტი.....	7
7.	სამეცნიერო კლასტერები/ჯგუფები	7
VI.	ღირებულებები	8
VII.	კვლევითი საქმიანობის ამოცანები და ორიენტირები	8
VIII.	კვლევის ხარჯები და კეთილდღეობა (მიღებული შემოსავალი).....	12
IX.	ახალი სამეცნიერო კვლევითი თაობის ხელშეწყობა და ჩამოყალიბება.....	13
X.	კვლევის შედეგები.....	13

I. შესავალი

ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია განათლების ხელმისაწვდომობაზე და მის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი მოცემულ ეტაპზე იმყოფება მეცნიერებისა და კვლევის სფეროში განახლებული ინსტიტუციური სტრატეგიის იკმლემენტაციის პროცესში. განახლებული სამეცნიერო სტრატეგიის შემუშავება ნაკარნახევი გახდა როგორც გარე ობიექტური ფაქტორების, ისე შიდა საუნივერსიტეტო გარემოების შეფასებისა და განვითარების მიზნებიდან გამომდინარე.

წინამდებარე სტრატეგიის როლი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენს საუნივერსიტეტო საზოგადოებას შიგნით და ყველა არსებულ და შესაძლო პარტნიორს გარეთ აჩვენოს, რომ უნივერსიტეტს აქვს და ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული კურსით და მისი რეალიზაციის სათანადო მექანიზმებით.

II. სტრატეგიის შემუშავების საფუძველი და მიზანი

სამეცნიერო კვლევითი სტრატეგიის მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის სტრატეგია და ხედვა კვლევების სფეროში რითაც, ერთის მხრივ ხელი შეუწყოს უსდ-ს ინსტიტუციონალურ გამართულობას, შესაბამის სტატუსს და მეორეს მხრივ, გაითვალისწინოს მკაცრად დეცენტრალიზებული ბუნება ზოგადად საუნივერსიტეტო იდეის და შინაარსისა.

სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი კურსის განსაზღვრა განპირობებულია საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების არათანაბარ მიდგომებში სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო და კერძო სექტორის უსდ-ებთან მიმართებაში. სახელმწიფოსგან კვლევისთვის დაფინანსების მიღების ძირითადი საშუალება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ჩატარებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებაა, ამასთან, ამ ნაწილშიც არ არის ერთგვაროვანი მიდგომა და პარიტეტი.

ასევე მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ ტენდენციას, რაც კონკურენციის გაზრდაში გამოიხატება.

რასაკვირველია, ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება მნიშვნელოვანი აქტორია სტრატეგიის ასრეობის აუცილებლობისათვის.

შესაბამისად, წინამდებარე სტრატეგიით ჩვენი მიზანია, კვლევა გავხადოთ უფრო დინამიური, ინსპირაციული, სიცოცხლისუნარიანი, ქონდეს რეალური კავშირები საზოგადოებრივ წიაღში და ზემოქმედება მოახდინოს მის არსებულ და სამომავლო გამოწვევებზე.

ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის იმ კონდიციას, როცა უნივერსიტეტის მიერ გენერირებული ახალი ცოდნა თავის წვლილს შეიტანს საზოგადოების გამოწვევების გადაჭრაში.

განუწყვეტლივ მოხდება და განახლდება ახალი ცოდნის ინტეგრაცია სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით რესურსს შევუქმნათ შესაძლებლობა ეფექტურად ეწინააღმდეგებოდეს სივრცით საზღვრებს და ქონდეს წვდომა მოწინავე დასავლურ სამეცნიერო კვლევით ტენდენციებზე და პროდუქტზე, გახდეს მისი ღირსეული ნაწილი.

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით უნივერსიტეტმა გადადგა გარკვეული წარმატებული ნაბიჯები. მიმდინარე წელს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის კონსტიტუციონალიზმის და დემოკრატიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი გახდა ESS (European Social Survey) ექსკლუზიური პარტნიორი და განმახორციელებელი ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო ზრდის ინსტიტუციის პასუხისმგებლობას სამეცნიერო კვლევით სფეროში, კვლევების დაფინანსების შესაძლებლობებს და ამასთან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი სამეცნიერო-კვლევითი რეპუტაციის ამაღლების საკითხს.

საბოლოოდ, სტრატეგიის მიზანია მოახდინოს კვლევისა და მეცნიერების კოორდინირებული და ეფექტური მართვა, მაღალხარისხიანი თანამედროვე კვლევითი აქტივობებისა და პროდუქტის მისაღებად. კვლევისა და მეცნიერების საუნივერსიტეტო მართვაში სტრატეგია გულისხმობს გაუში მეცნიერების გარე და შიდა გამოწვევებთან კორელაციაში მყოფი საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის, მისი სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერაზე, ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებულ კოორდინირებულ საქმიანობაზე.

სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა და მიზანმიმართულობა კვლევისა და მეცნიერების განვითარების სტიმულირებისათვის, რაც გამოიხატება უკვე არსებულ და მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებებში რაც გულისხმობს:

- ა. კვლევისა და მეცნიერების ორგანიზაციული და მარეგულირებელი სივრცის ეფექტურ ოპერირებას და მის საჭიროების შესაბამისად განვითარებას;
- ბ. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შიდა და გარე კოორდინაციების არსებული რეალიების გაფართოებას;
- გ. კვლევის არსებული მოდელების ეფექტურ განვითარებას და მის პერმანენტულ გაუმჯობესებას.
- დ. კვლევისა და მეცნიერების გაფართოების, კვლევისა და მკვლევარების მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმებისა და შესაბამისი აქტივობების გეგმაზომიერ იმპლემენტაციას და გაფართოებას.

საბოლოოდ, სტრატეგია მიმართულია არსებულის ეფექტური იმპლემენტაციის და არსებითად კი, მომავალი განვითარებისაკენ.

III. სტრატეგიის შემუშავების საფუძველი

წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად უდევს შიდა საკანონმდებლო ბაზიდან საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში მეცნიერების მართვის ძირითად პრინციპებს, ასევე სხვა ეროვნულ კანონდებლობას და შესაბამის რეგულაციებს ამ სფეროში.

ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდუტის დასკვნა ქვეყანაში მეცნიერების და კვლევის შეფასების შესახებ;

სტრატეგია ითვალისწინებს გათვლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის დასკვნებს ამ მიმართულებით. სხვა დარგის ექსპერტების და ორგანიზაციების კვლევებს. თავად უნივერსიტეტის ცოდნას და დაგროვილ გამოცდილებას მეცნიერებისა და კვლევის სფეროში.

IV. სტრატეგია

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევით სფეროში სტრატეგია გულისხმობს მისწრაფებას გააძლიეროს მისი კვლევითი პოტენციალი და რეპუტაცია, კიდევ უფრო ინტენსიური და საჯარო გახადოს ჩვენი სამეცნიერო კვლევითი რესურსის შესაძლებლობები და მათი კვლევის შედეგები.

V. კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები

წინამდებარე სტრატეგიაში განსაზღვრული სამეცნიერო კვლევითი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კვლევის მენეჯმენტი და კვლევითი ფუნქციები განაწილებულია შემდეგ მექანიზმებში:

1. სამეცნიერო საბჭო

სამეცნიერო საბჭო არის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მხარდამჭერის კოლეგიური ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა შეაფასოს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის რეალები, განსაზღვროს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტები და სტრატეგია, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და დააყენოს მიზანშეწონილი შუამდგომლობები შესაბამისი სტრუქტურების და თანამდებობის პირების წინაშე.

სამეცნიერო და აკადემიური საბჭოების ერთობლივი კომპეტენციები

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით და ამ მიმართებით საუნივერსიტეტო სტრუქტურების მეტი კოორდინაციისა და კოოპერაციის, მეტი ჩართულობის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა სამეცნიერო საქმიანობის მენეჯმენტში ჩართული იყოს უნივერსიტეტის კოლეგიური მართვის მეორე ორგანო - აკადემიური საბჭო. ამ მიზნით დაინერგა აკადემიური და სამეცნიერო საბჭოების ერთობლივი სხდომების და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი. ასეთი მექანიზმის არსებობა სტრატეგიულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მართვის მნიშვნელოვანი ორგანოების კონცენტრირებას კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და განვითარების. მათ ერთობლივ სხდომებზე მიღებული საერთო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის რეაგირებას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი გამოწვევებისადმი, კვლევისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების და სხვა თანამედროვე კვლევების წინაშე არსებული გამოწვევებისადმი დროულ და ადეკვატურ რეაგირებას. ამ მექანიზმს, როგორც სიახლეს, ჩვენს სივრცეში ჯერ ჯერობით არ გააჩნია ანალოგი.

აკადემიური და სამეცნიერო საბჭოები ერთობლივ სხდომებზე გადაწყვეტილებას მიიღებენ კვლევისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან შემდეგ საკითხებზე:

- ა) უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები;
- ბ) კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო სტანდარტები;
- გ) აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებაში შემავალი სხვა საკითხები, თუ ერთობლივ სხდომას და ერთობლივ გადაწყვეტილებას მოითხოვს აკადემიური საბჭოს ან/და სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ $\frac{1}{4}$.

ერთობლივ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის წესით დამსწრეთა უმრავლესობით. ერთობლივი გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები.

2. სკოლა (ფაკულტეტი)

სკოლა არის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული რომელშიც სტრუქტურულად ინტეგრირებულია შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, დაკავებულია შესაბამისი სამეცნიერო რესურსი და ხორციელდება კვლევა.

3. კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური

უნივერსიტეტის კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას, შესაბამისი წამახალისებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ფინანსების მოძიებას.

სამსახური თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას თანამშრომლობს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან- სკოლასთან.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია და უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხარისხის სისტემატურ შეფასებას და ხელს უწყობს ხარისხიანი კვლევითი საქმიანობის განვითარების პროცესს.

5. უნივერსიტეტის დამხმარე ორგანოების სისტემის თანამონაწილეობა

უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, კვლევითი პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების იმპლემენტაციის და შეფასების პროცესში, შესაბამის ეტაპებზე, კვლევითი საქმიანობის მენეჯმენტის ამოცანებიდან გამომდინარე ხდება უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი დამხმარე ორგანოების ჩართვა და მონაწილეობა.

6. კვლევითი ინსტიტუტი

კვლევითი ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის სკოლების ბაზაზე შექმნილი კვლევითი სტრუქტურული ერთეული სადაც ხორციელდება შესაბამისი კვლევები განსაზღვრული პრიორიტეტების, დარგებისა და დისციპლინების მიხედვით.

7. სამეცნიერო კლასტერები/ჯგუფები

კვლევითი ჯგუფი/გუნდი წარმოადგენს იმ მეცნიერთა ერთობლიობას, რომლებიც ჩართული არიან კონკრეტული სამეცნიერო პროექტის ან/და კვლევითი ცენტრის საქმიანობაში. კვლევითი გუნდი მოიცავს სხვადასხვა რანგის აკადემიური პირების ჩართვას, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარების და სტუდენტების კვლევაში თანამონაწილეობას.

კვლევითი გუნდი შეიძლება მუშაობდეს, როგორც ერთი პროექტის, ისე რამდენიმე პროექტის განხორციელებაში. კვლევითი გუნდი შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც კოლაბორაციულად, ასევე იერარქიულად. თავის მხრივ, გუნდის კვლევითი საქმიანობა შეიძლება ეფუძნებოდეს, როგორც თვისობრივი, ისე ასევე რაოდენობრივი კვლევითი პროექტების განხორციელებას, ან შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებას. კვლევითი გუნდის აკადემიური საქმიანობა კი შეიძლება იყოს, როგორც კვლევაზე ასევე პრაქტიკაზე ორიენტირებული.

კვლევითი კლასტერის შექმნით შევეცდებით მოვახდინოთ ქვეყნის და რეგიონის მაშტაბით კვლევით ცენტრებთან და სხვადასხვა კვლევით სუბიექტებთან კოლაბორაცია. ეს გაზრდის კვლევის მასშტაბებს და უნივერსიტეტის, მისი მეცნიერების და მკვლევარების შესაძლებლობებს გაუმკლავდნენ და გადალახონ კვლევითი საზღვრები სხვადასხვა ინსტიტუტებთან და მეცნიერებთან ერთად იკვლიონ აქტუალური საკითხები. ამით ასევე მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული კვლევითი

ჯგუფების ერთობლიობას, რომელიც გააერთიანებს უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და ინსტიტუტებს.

კვლევითი კლასტერის არსებობის სტრატეგიად იგულისხმება გააღრმავოს აკადემიური კავშირები და თანამშრომლობა სხვადასხვა სამეცნიერო დარგებში მოღვაწე მეცნიერებსა და მკვლევარებს შორის და ამით ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ძლიერი სამეცნიერო ქსელის ჩამოყალიბებას. აგრეთვე, მისი მიზანია მოიძიოს როგორც შიდა, ასევე გარე სამეცნიერო დაფინანსება ერთობლივი (ინტერინსტიტუციონალური) პროექტების განსახორციელებლად.

უნივერსიტეტის კვლევითი კლასტერის საქმიანობა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რომელსაც ერთობლივად ქმნის უნივერსიტეტის აკადემიური გუნდი სამეცნიერო საბჭოსთან თანამშრომლობით და შეთანხმებით.

VI. ღირებულებები

1. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტური მართვა;
2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტერდისციპლინარულობა;
3. კვლევის ინტერნაციონალიზაცია;
4. ინკლუზიურობა;
5. ადრეული კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
6. ჩართულობა;
7. გავლენის შესაძლებლობა;
8. კეთილსინდისიერება;
9. პარტნიორობა.

VII. კვლევითი საქმიანობის ამოცანები და ორიენტირები

სტრატეგიული პერიოდისთვის უნივერსიტეტის პრიორიტეტებად გამოისახა კვლევითი გარემოს გაფართოება და იმ თანამედროვე სტანდარტების დანერგვისათვის ხელშეწყობა, რომლებიც კვლევით საქმიანობას წაეყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების და კვლევების მეთოდოლოგიური მოთხოვნების თვალსაზრისით.

ერთის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების და მეორეს მხრივ, ქვეყანაში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების და მხარდაჭერის არსებული არათანაბრობის რეალობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა მომდევნო სტრატეგიულ პერიოდში მიზნად დაისახა კვლევითი საქმიანობის მოდერნიზაცია, ადექვატური და შედეგიანი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და წარმოების გზით. ინსტიტუცია ერთის მხრივ, შიდა და გარე რესურსის მობილიზების გზით ყველანაირად შეუწყობს ხელს არსებული რეალობის ფარგლებში განახორციელოს მისი მისწრაფება აწარმოოს ისეთი სამეცნიერო-

კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომლითაც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ინოვაციურ გნვითარებაში. მეორეს მხრივ, მოახდენს ამ ტიპის საქმიანობის და მისი შედეგების ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში, რითაც კიდევ უფრო მიზიდვებს გახდის მას როგორც ახალგაზრდობის, ისე სხვა სოციო-ეკონომიკური აგენტებისათვის.

შესაბამისად აქ ისმევა საკითხი რა არის ის კონკრეტული ორინტირები და ამოცანები რომელსაც უნივერსიტეტმა უნდა მიაღწიოს სხვადასხვა სტრატეგიული ამოცანების შესრულების შედეგად. შესაბამისად, ჩვენ მივაღწევთ:

I. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას და მის გაფართოებას; რითც უნდა მივაღწიოთ შემდეგს:

ა. დღეს ძალზედ მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი, შესაბამისად კრიტიკულად მნიშვნელოვანია არსებული საუნივერსიტეტო სტანდარტების მუდმივი განვითარება. ვადგენთ რა, მინიმალური საუნივერსიტეტო სტანდარტს და მოთხოვნებს ეს ნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო ხედვებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს სტანდარტი უფრო მაღალი იყოს ვიდრე გარე არსებული სტანდარტები. ასეთი საუნივერსიტეტო სტანდარტების დადგენის ფარგლებშიც, რასაკვირველია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი სუბიექტების აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის ხელშეწყობას და დაცვას;

ბ. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ დატვირთვას მისცემს შესრულებული კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას და მათზე განხორციელდება პერმანენტული და მკაცრი კონტროლი.

გ. უნივერსიტეტს კარგად ესმის კვლევის როგორც პროცესის, ისე მისი შედეგებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია აკადემიური კეთილსინდისიერების და აკადემიური თავისუფლების საკითხები. მოცემული სტრატეგიის მიზანია, რომ აღნიშნული საკითხი იყოს ფოკუსირებული კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის დროს, მუდმივად ხდებოდეს შესაბამისი სტანდარტების განმტკიცებისა და უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების განვითარება, მათი ქმედითუნარიანი ინპლემენტაცია;

დ. თანამედროვე გლობალური, რეგიონალური თუ ლოკალური გამოწვევები დღევანდელ მსოფლიოში მკვეთრად ზემოქმედენ ერთმანეთზე. საქართველო, როგორც ევროპული ინტეგრაციის მიზნის მქონე საზოგადოება, ქვეყანა რომელიც ცდილობს დააწესოს და განამტკიცოს დასავლური დემოკრატიული სტანდარტები, არსებით გავლენას განიცდის ამ ინტეგრაციულ ორბიტაზე, რაც ასევე მკვეთრ გალენას ახდენს ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესებისა და გამოწვევების შიდა და საერთაშორისო საკითხებზე. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტებს გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ამ მიმართულებით. შესაბამისად, ჩვენი სტრატეგიული ხედვა ემსახურება იმის უზრუნველყოფას, რომ მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით რესურსს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სხვადასხვა დონის და მასშტაბის გამოწვევებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებაში. გაგზარდოთ სამეცნიერო პერსონალის და

კვლევითი სტრუქტურების ინტერესი და კავშირები გარე სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აგენტებთან.

ე. უნივერსიტეტი მუდმივად განავითარებს სხვადასხვა მექანიზმებს კვლევითი პროექტების ინიცირებისა და კვლევაში მონაწილეობის მოტივაციის გასაძლიერებლად. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის და მისი შედეგების სურათი არსებითადაა დამოკიდებული მისი სამეცნიერო-კვლევითი რესურსის აქტიურ ჩართულობაზე. მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი მუდმივად განავითარებს წამახალისებელ და მხარდამჭერ მექანიზმებსა და ღონისძიებებს;

ვ. უნივერსიტეტი მაქსიმალურად გამოიყენებს კონსტიტუციონალიზმის და დემოკრატიის კვლევითი ცენტრის სიახლოვეს და თანამშრომლობას ESS-თან (European Social Survey). ეს მოიცავს ახალ შესაძლებლობებს უნივერსიტეტის ახალ კვლევებში და პროექტებში ჩასართავად. ეს გაზრდის უნივერსიტეტების ხილვადობას და შესაძლებლობებს გარკვეული კონკურენტული უპირატესობების შესაქმნელად.

ზ. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევის ხელმისაწვდომობას საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურაზე. ზოგადად და მათ შორის კოვიდ-19 პანდემიის პირობებში უნივერსიტეტი იზრუნებს ინტერნეტ ფორმატში სამეცნიერო აქტივობების განხორციელებაზე, ციფრულ ფორმატში მონაცემების დაცვა-შენახვასა და მათ ხელმისაწვდომობაზე;

თ. უნივერსიტეტი განავითარებს თავის კვლევით შესაძლებლობებს.

II. სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობისა და კვლევის კომერციალიზაციის გაზრდის მიზნით ჩვენ უნდა მივაღწიოთ: კონტაქტების გაზრდას კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო, სხვა არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, ზოგადად საზოგადოებასთან. ინტერდისციპლინური კვლევების გაფართოება.

ა. კიდევ უფრო მეტი და გეგმაზომიერი ხელშეწყობა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისათვის, აწარმოონ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შესაბამის ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, სხვა შესაბამის და რელევანტურ სუბიექტებთან.

ბ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ახალი და ნოვატორული ხერხების გამოყენება და მათი საშუალებით დისციპლინათაშორისი მოკლევადიანი სამეცნიერო ჯგუფების და კლასტერების შექმნის ხელშეწყობა. დარგთაშორისი პრობლემატიკით დაინტერესებული მეცნიერების და მეკვლევარების გაერთიანება მეტ საშუალებას და ინტერესს შექმნის ხარისხიანი დარგთაშორისი კვლევებისათვის. ეს ყველაზე კარგი პასუხი იქნება როგორც საკვლევი პრობლემის, ისე თითოეული დარგის განვითარებისათვისაც. ერთის მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს დროული და ადეკვატური რეაგირებისათვის დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში პრობლემური საკითხების და თემების მიმართ; მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ჩართულობას საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში.

გ. აკადემიური კვლევების, ზოგადად მეცნიერების პოპულარიზაციის ღონისძიებების გაზრდით მივაღწევთ:

1. უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდას სხვადასხვა დონეზე.
2. ხელს შეუწყობთ მკვლევარებს ელაპარაკონ მიზნობრივ ჯგუფებს და ფართო აუდიტორიას თავიანთი კვლევითი შედეგების შესახებ;
3. უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი სტრატეგია იქნება დაეხმაროს და განავითაროს მკვლევარებისა და კვლევითი სტრუქტურების კვლევითი კომუნიკაციები ზოგადად და მათ შორის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინფორმაციის საიტების აქტიური ოპერირებით;
4. კვლევის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანი აქტორია უნივერსიტეტის მიმზიდველობის გაზრდაში და სამეცნიერო-აკადემიური და სტუდენტთა ახალი კონტიგენის რეკრუტირებაში;
5. გატარდება საზოგადოების ფართო წრეებისათვის და სხვადასხვა სოციალური აგენტებისთვის აკადემიური კვლევის ღონისძიებების, მათ შორის ფართო საზოგადოებისა და ახალგაზრდობაში, მეცნიერების პოპულარიზაციის ღონისძიებების ტაქტიკა.
6. ვ. კვლევის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ამოცანაა ინტერდისციპლინური კვლევის წარმოება და ამ მიმართებით, სხვადასხვა სკოლების და ინსტიტუტების სამეცნიერო კორპუსის თანამშრომლობის ფარგლებში, დისციპლინათაშორისი კვლევები, რაც გაზრდის მათ შესაძლებლობებს ეფექტურად გადალახონ უფრო რთული და ფართო ამოცანები კვლევისა და თანამშრომლობის ფარგლებში. ამ მიმართებით უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს დისციპლინათაშორისი მოკლევადიანი სამეცნიერო ჯგუფების და კლასტერების შექმნას. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ასეთი კვლევებისათვის დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს კვლევის კოლექტიური ცოდნის წარმოქმნას.

III. სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო პროცესის მაქსიმალური ინტეგრაციით უზრუნველყოფთ:

ა. კვლევითი კომპონენტების გაძლიერებას ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აქცენტით, პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებისთვის. ამ მიმართულებით გაიზრდება სტუდენტთა და მეცნიერ-მკვლევართა მონაწილეობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში. ასეთი აქცენტით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ხარისხის სამსახურის მონიტორინგს და მისი შედეგების გათვალისწინების მოთხოვნებს.

ბ. სადოქტორო და სამაგისტრო კვლევების ხარისხის ამაღლება. აქ მოიაზრება ისეთი საკითხების პრიორიტეტულობა, როგორცაა სადოქტორო და სამაგისტრო სწავლებას შორის სათანადო კავშირების არსებობა და გაძლიერება, არსებული მოთხოვნებისა და სტანდარტების დაცვა და განვითარება. სადოქტორო და სამაგისტრო სწავლებასა და საუნივერსიტეტო კვლევით გარემოს შორის ბმების მეტად გაძლიერება და გაფართოება. სულ უფრო მეტი შესაძლებლობების შექმნა დოქტორანტურის და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ჩასართავად სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

გ. კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების სისტემის პერმანენტულ გაუმჯობესებას. ამ ტიპის საქმიანობა კონტროლისა და შეფასების მექანიზმების, მათი შედეგების გამოყენებით საშუალებას მოგვცემს დაიხვეწოს როგორც სამეცნიერო რესურსის პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები, ისე შესაბამისი მარეგულირებელი სივრცე.

დ. კვლევის შედეგების და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. ეს მიმართულება ფართომასშტაბიან საქმიანობას მოიცავს და მოიაზრებს აქტივობებს, დაწყებული ყველა საფეხურის საკურსო და საკონფერენციო თემების ხელმძღვანელობიდან, დასრულებული კვლევითი ინსტიტუტების, სხვადასხვა პროექტებში მონაწილე მეცნიერების უშუალო მონაწილეობას აკადემიური პროგრამების განხორციელებაში.

ე. კვლევითი კომპონენტის შემცველი აკადემიური პოზიციების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, რითაც უნდა შეიქმნეს გარანტია, სწავლებასა და კვლევას შორის არსებითი და მჭიდრო კავშირის შესახებ. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს და წახალისებს მეცნიერთა და მკვლევართა ახალი თაობის წარმოებას.

ვ. აღნიშნულ კონტექსტში და ზოგადად მომეტებული მნიშვნელობის სტრატეგიას წარმოადგენს მაღალპროფესიული და ავტორიტეტული სამეცნიერო და აკადემიური კადრების რეკრუტირება.

ზ. გაფართოვდეს კვლევისა და სწავლების ურთიერთსარგებლიანობის და ურთიერთგამდიდრების პოლიტიკა რაც უმაღლესი საფეხურის სამეცნიერო და კვლევითი კადრების ჩართვას გულისხმობს ქვედა, მათ შორის საბაკალავრო დონეზეც.

IV. კვლევითი საქმიანობის ინტენაციონალიზაციის ხელშეწყობით მივაღწევთ:

ა. უფრო ინტენსიური და გეგმაზომიერი საქმიანობის განხორციელებას სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. ხელს შევუწყობთ აკადემიურ გაცვლას და „ვისწავლოთ ერთმანეთისაგან“ -პრინციპის ეფექტურ გამოყენებას. შევეცდებით, კიდევ უფრო მეტ კოოპერაციას ჩვენს დასავლეთელ კოლეგებთან. მათი გამოცდილების გაზიარების და თანამშრომლობის გაფართოებით ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებას.

VIII. კვლევის ხარჯები და კეთილდღეობა (მიღებული შემოსავალი)

უნივერსიტეტი მოახდენს თავისი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დინამიკის გაზომვასა და განვითარებას, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი კორპუსის მდგრადობას, ენერჯის სიმტკიცეს და კვლევის შედეგებისა და რესურსების შესაბამისობას.

IX. ახალი სამეცნიერო კვლევითი თაობის ხელშეწყობა და ჩამოყალიბება

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სტრატეგია თავის თავში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემას როგორცაა მომავალი სამეცნიერო კადრების აღზრდის საკითხი. შესაბამისად, უნივერსიტეტი განავითარებს და გაზომავს ისეთ მაჩვენებლებს როგორცაა სამეცნიერო აკადემიური რესურსის, კვლევით საფეხურზე და სხვა ტიპის კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირთა თანაფარდობის საკითხს.

X. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები ექვემდებარება გაზომვადობას, შეფასებას და რეგულირდება გარე და შიდა შეფასების მექანიზმებითა და კრიტერიუმებით.